




სამარის ძოამბა



№29 (230)

29 ივლისი, ორშაბათი, 2019 წელი

სოფლებში - ყობში და ღუდაში მზის ელექტროსადგურები დამონტაჟდება

უშუქოდ დარჩენილ სოფლებში მზის ელექტროსადგურების მონტაჟი სექტემბრიდან დაიწყება და იანვრის ბოლომდე დასრულდება. ამის შესახებ ინფორმაციას „მთის ამბები“ ავრცელებს. სააგენტოს ცნობით, საქართველოს მასშტაბით, ასეთი მომსახურებით 178 ოჯახი ისარგებლებს.

მითითებულ ინფორმაციაში შიდა ქართლის სოფლებიცაა, სადაც ელექტროსადგურები დამონტაჟდება. მათ შორის, ორი სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტშია - ყობი და ღუდა.

„ტენდერში, რომლის ღირებულებაც 2 545 400 ლარია, კომპანია „იუჯიოთიმ“ გაიმარჯვა. 178 ოჯახს მუდმივად ექნება ელექტროენერგია. სიმძლავრე ტელევიზორის, მაცივრის, სარეცხის მანქანისა და წყლის გამაცხელებლის მუშაობასაც ეყოფა.“ - აღნიშნულია ხელისაც.

ტენდერში გამარჯვებული კომპანია ვალდებულია მზის ელექტროსადგურის სისტემის დამონტაჟების შემდეგ მომხმარებელს ელექტროენერგია სახლში შეუევანოს. ამასთან, უნდა დააყენოს სულ მცირე 4 დენცეპიტა (შტეფსელი) და 4 ნათურა. მზის ბაზარებზე მწარმოებლის გარანტია 25 წელია, კომპანია კი მათი დამონტაჟებიდან 3 წლის განმავლობაში ვალდებულია უზრუნველყოს სისტემის გამართული მუშაობა. ამასთან, საგარანტიო პერიოდში კომპანიას მომხმარებლებისთვის ცხელი ხაზიც უნდა პქონდეს.

სკეციალისტების განმარტებით, სისტემა 1600 კვტ-იანი -ის პანელებისგან შედგება, რომელიც ყველაზე ხარისხიანი და ძვირადიორებულია. მომხმარებელს ელექტროენერგია, ზედიზედ



რამდენიმე დღის განმავლობაში, ცუდი ამინდის დროსაც კი არ გაეთიშება, მზიან ამინდში კი ერთდღოულად შეძლებს ნათურის, ტელევიზორის, მაცივრის, სარეცხის მანქანისა და წყლის გამაცხელებლის ჩართვას. ერთი მზის ელექტროსადგურის აწყობაზე 14 300 ლარია გათვალისწინებული.



ხაშურის მე-5 და ოსიურის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია აგვისტოს შუა რიცხვებში დასრულდება

ხაშურში, ჯორჯაძის ქუჩაზე, №5 ხაჯარო სკოლის და სოფელ თხიარის საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოებს აღილებული უცნობოდნენ მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასახუელი, მერის მოადგილე ზურაბ როსეგაშვილი და ინფრასტრუქტურის განვითარების უფროსი გიორგი პაპაშვილი. №5 ხაჯაროსკოლაში, პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია იატაკების და კედლების განახლება. რომლის ჯამური ღირებულება 58 070 ლარს შეადგენს. ოსიურის ხაჯარო სკოლაში, ამ ეტაპზე, მიმდინარეობს კედლების გაღესვევა-გათვალისწინება, პარალელურად, იცვლება იატაკები, რომლისთვისაც 52 514 ლარია გამოყოფილი. ორივე სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები აგვისტოს შუა რიცხვებში დასრულდება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ წრომში ამბულატორიის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ამ დღებში, საქართველოს რკინიგზელთა პროფესიულის ინიციატივით, გზის ხელმძღვანელობა შეხვდა ხაშურის კვანძზე დასაქმებულ მუშა-მოსამსახურებს. შეხვედრებმა, რომლებშიც მონაწილეობდნენ გენერალური დირექტორი და ვიზუალური მუშაკები, მოიცავა კვანძში შემავალი ყველა ორგანიზაცია. სადგურ ხაშურში, სალოკომოტივო და სავაგონო დეპოებში, სალიანდაგო, ელმორარაგების და სხვა სამმართველოებში და ფერადემ, გ. გელაშვილმა, სხვა გამომსვლელებმა ვრცლად ილაპარაკეს რკინიგზაზე დასაქმებულ მუშაკორმის პირობების გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების გაძლიერებისათვის უკანასკნელ პერიოდში გატარებული ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე იმ გამოწვევებზე, რაც დღეისათვის დგას, ზოგადად, ქვეყნისა და კონკრეტულად რკინიგზის წინაშე, პასუხი გასცეს დასმულ შეიოთხებებს.

შეხვედრაზე სასიამოვნო ინფორმაციაც გაფლერდა: 2020 წლიდან გათვალისწინებულია ხელფასების მომატება იმ კატეგორიის მუშაკორმის, რომელთაც 1500 ლარზე ნაკლები აქვთ.



ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ წრომში ამბულატორიის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

სამუშაოების მიმდინარეობას აღვილზე ეცნობოდნენ მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასახუელი, მერის მოადგილე ზურაბ როსეგაშვილი და ინფრასტრუქტურის განვითარების უსაფრთხოების გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

პროექტის ჯამური ღირებულება 59 624 ლარს შეადგენს, სამუშაოები კი იქტომბრის ბოლოსთვის დასრულდება.

ამბულატორია ეწყობა ასევე აღის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნაბახვებში, პროექტის ჯამური ღირებულება 16 227 ლარს შეადგენს და სამუშაოები სექტემბრის შუა რიცხვებში დასრულდება.



35 დასახელების მედიკამენტებს
ქრონიკულად დაავადებული სოციალუ-
რად დაუცველები, პენსიონერები და
შეზღუდული შესაძლებლობის პირები
სიმბოლურ ერთ ლარად შეძლებენ

დღეიდან სოციალურად დაუცველ პირებთან ერთად, ყველა ჯგუფს, პენსიონერებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და სხვა ჯგუფებს 35 დასახელების მედიკამენტების შეძენა 1 ლარად შეეძლებათ,- ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომამდე გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. „ერთ-ერთ ყველაზე მტკიცნეულ გამოწვევად რჩება ის ფაქტი, რომ ჩვენი მოქალაქეების ხარჯი, ე.წ. ჯიბიდან გადახდილი ხარჯები მედიკამენტებისთვის არის ძალიან მაღალი. ჩვენ აქტიურად ვმუშაობდით, რომ ეს პრობლემა მოგვეგვარებინა. დღეს მთავრობაზე გამოგვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების პროგრამაში შეგვატეს ცვლილება. დღეიდან არსებული დიფერენცირება ისხსნება და სოციალურად დაუცველ პირებთან ერთად, ყველა ჯგუფს, პენსიონერებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და სხვა ჯგუფებს შეეძლებათ მედიკამენტების შეძენა ერთ ლარად. საუბარია 35 დასახელების მედიკამენტების



სსიპ „იურიდიული დახმარების
სამსახური“ მოსახლეობას ახალ
სერვისს სთავაზობს



სურამში, ბაიანთხევის ტყე-პარკთან
დამაკავშირებელი კიბე
რეაბილიტირებული იქნება

საშერის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, 9 აპრილის ქუჩაზე, კიბის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტს მუნიციპალიტეტის მერია ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე ახორციელებს.

სამუშაოებისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 15 635 ლარი გამოიყო.



ზე, რომელიც ძირითადად მოიხმარება 6 ქრონიკული დაავადებისას, ეს გახლავთ გულსისხლარღვთა, ფარისებრი ჯირკვლის, ფილტვის, დიაბეტის, ეპილეფსიის და პარკინსონის დაავადებები. მე საზოგადოებას ვპირდები, რომ ჩვენ გავაგრძელებოთ ძალიან აქტიურ მუშაობას იმისთვის, რომ ჩვენი შექირვებული მოქალაქეებისთვის ჯიბიდან გადახდილი ხარჯები მედიკამენტებისთვის იყოს მინიმალური და ამას ჩვენ აუცილებლად გავაკეთებთ“.

23 ივლისს, ხაშურის სამუხიკო სკოლის დარბაზში, სიიპ იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა გაფართოებული შეხვედრა გამართეს.

შეხვედრას, რომელსაც უძღვებოდნენ სიიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ დირექტორი რაფენე წუპრაშვილი და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზეიად ქურდაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წევრები, მათ შორის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, საგანმანათლებლო რესურს ცენტრისა და მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ხელმძღვანელი პირები, სასამართლოსა და პროკურატურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა აუდიტორიას გააცნო ინფორმაცია უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის, დახმარების მიღების წესისა და კრიტერიუმების შესახებ. განიხილეს მიწისა და უძრავი ქონების რეგისტრაციის, ასევე მიგრაციის სამართლებრივი საკითხები. რაჭდენ კუპრაშვილმა აუდიტორიის შეკითხვებსაც უპასუხა.

Թե՛նշընելովանօ, րոմ ևսօք ոյշրօնօյլո ճաեմարցիւս և սամսակյր եաժյր ծո ցըցմազ և սայոնէնյլթացո ցյենթրու ցակեսնաս. եաժյրուս մշնօցու ձալություն մշրուս ձորչյլմա մրագցուլցմ, նցուած յշըրդապյմ ցանացեածա, րոմ մշնօցու ձալություն միեած արուս, հայրտու ալճունյլ քրոյյէթմ ու տանացցում ցայֆուս մուս ցանեռուցոյլցիւս կրոմքյիցնցուուցան ու արևշինյլու հյեւրշըդուուց ցամունցունարդ.

საკონსულტაციო ცენტრში შესაძლებელი იქნება ნებისმიერმა პირმა ნებისმიერ საკითხზე მიიღოს უფასო სამართლებრივი კონსულტაცია. სოციალურად დაუცველი პირებისთვის, ცენტრის მეშვეობით, იურიდიული დოკუმენტაციის შედგენა და ადმინისტრაციულ ორგანოში წარმომადგენლობაც იქნება შესაძლებელი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაყაში გზის მოასფაღვების სამუშაოები გრძელდა


პროექტის მიმდინარეობას ადგილზე ეცნობოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, საკრებულოს თაგმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსეპაშვილი და მერიის ქაონომიკის სამსახურის წარმომადგენლადი.

მათი განმარტებით, სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხორციელდება.

მოასფალტებული 2 400 გრძივი მეტრი გზით , 1 500 ზე მეტი მოსახლე ისარგებლებს რაც მათ საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს.

პროექტი ჯამში 1 409 614 ლარს ითვლის და ზაფხულის ბოლოსთვის დასრულდება.

1. The first stage of the process is the collection of data from the field. This involves the use of various methods such as interviews, surveys, and observations to gather information about the community's needs and challenges.





გადავარჩინოთ გორათის სამაროვანი

ხაშურის ჩრდილო-დასავლეთით, ობილისი-ბათუმის საგვერმობილო გზის მარცხენა მხარეს მდებარეობს ადგილი გორათი, რომელიც მრავალმხრივ არის საინტერესო. იგი ნასოფლარია და დღეს ხაშურის კრონერთ უბანს წარმოადგენს.

სულხან-საბა თრბელიანის მიხედვით „გორა მცირე ბორცვაკია“. ამ შემთხვევაში გორათის სახელწოდება მომდინარეობს იმ ბუნებრივი გორებიდან, რომლებიც აქ მდებარეობდა. სამი ბორცვიდან დღეს მხოლოდ ერთია, ორი კი აქ გამავალი საგვერმობილო მაგისტრალის მშენებლობის დროს მოიშალა.


გორათმა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიიქცია უურადღება.

XIX საუკუნის 90-იან წლებში, აქ აღმოჩნდა არაერთი საყურადღებო არქეოლოგიური ნივთი. ამის შესახებ, 1895 წელს, გაზეთი „ივერია“ აღნიშნავდა: „გორათის კელესის მახლობლად მუშა ლეგებს აღმოუჩენიათ ძველი დროის აკლდამები. გზისთვის საჭირო მიწა თურმე ამ აკლდამებიდან ამოაქვთ და ბევრ სპილენძის ნივთებსაც ჰპოულობები.“



ჰპოულობებ დანებს, ხანჯლებს, ისრის ნამტვრევ ბოლოებს, ცულებს და აზიური სადგისების მაგვარ რადაცებსაც, რომლებსაც მშენებელი ხელოვნება ჯერ კიდევ კარგად ეტყობა. ეს ნივთები სულ სპილენძისაა (?). ბევრია იმისთანა ნივთებიც, რომელთაც სახელი ვერ დავარცხო. ბევრს ჰპოულობებ აგრეთვე კრიალოსნებს, ყელის ძეწვებს, მაკრატლებს და სხვა. ყველა ეს ნივთი ძალიან კარგად შეშენასულია. ეს ნივთები თურმე რაღაც უპატრონობით იკარგება, რადგან პოვნისთანავე მუშა ლეგები კუიდან... იმისთანა ნივთებიც ჰქვდებათ, რომლებსაც ზედ რაღაც გაუგადარი წარწერა აქვთ.“

ეს, რაც შეეხება გასულ საუკუნეს. იგივე პროცესი გრძელდება დღესაც. დღეს ადგილობრივი მოსახლეობა გორათზე სისტემატურად პოულობს საბრძოლო და ყოფით იარაღებს, სამკაულებს, თიხის ჭურჭლის ნატეხებს. ეს ნაპოვნები მომდინარეობს ახლად გამართული სამარხებიდან. მოგეხსენებათ, რომ გორათის დასავლეთით ახალი სამარხების გამართვა მიმდინარეობს. ეს არის ზუსტად ის ადგილი, სადაც დაახლოებით სამი ათასი წლის წინ ძველი სამაროვანი მდებარეობდა.



თავად გორა უძველეს ნამოსახლარს წარმოადგენს, ხოლო ის ხალხი, რომელიც აქ ცხოვრობდა, გორის მიმდებარე ტერიტორიაზე იკრძალებოდა. ახალი სამარხების გამართვისას ხშირად იჩენს თავს სამი ათასი წლის წინანდელი ნივთები. საბედნიეროდ, ხშირად ეს ნივთები ადგილობრივი მცხოვრების, მერაბ ჩანთიანცის დიდი გულისმიერების წყალობით მუზეუმში ხვდება და არ იკარგება ჩვენი ისტორიისათვის, მაგრამ ზიანდება უძველესი სამარხები და ქრება უნიკალური ინფორმაცია ჩვენი წარსულის შესახებ.

ამ რამდენიმე დღის წინათ, ბატონიმა მერაბ ჩანთიანცმა მუზეუმში კიდევ 6 ცალი არქეოლოგიური ნივთი მოიტანა, რომელიც ახალი სამარხის გამართვის დროს აღმოუჩენია. ესენია ბრინჯაოს 5 რგოლი(სამაჯური) და 1 შებისპირი. რა თქმა უნდა, გასახარია ის ფაქტი, რომ მუზეუმის ფონდს დაემატა ბრინჯაოს ეპოქის კიდევ რამდენიმე უნიკალური ნივთი, მაგრამ ძალზე გულდასაწყვეტია, რომ მიუხედავად მრავალი წლის მოთხოვნისა, დღემდე ვერ მოხერხდა გორათზე არქეოლოგიური ექსპედიციის დაფინანსება და კვლავ გრძელდება უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლის, გორათის, დაზიანება.

გორათმა ქართულ არქეოლოგიაში დიდი ხანია დაიმგვიდრა ადგილი. ამ რამდენიმე წლის წინ აქ გაითხარა სამარხი(უფრო ზუსტად, ახალი სამარხის ადგილი ზუსტად დაემთხევა) სამი ათასი წლის სამარხე), სადაც აღმოჩნდა უნიკალური არქეოლოგიური ნივთები: დიდრონი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ქვაბი, სატევრები, კოლხური ცული, ბალთა, შებისპირი. ეს ნივთები მეტად დიდ სიახლოებებს იჩენს მეზობელი კოლხური კულტურის მიმართ. მაგრამ ერთმა აღმოჩნდა, რომელიც აქ 2009 წელს განხორციელდა, შეძრა ქართული არქეოლოგია. აქ აღმოჩნდა თიხის ქალდვთაება-სასმისი, რომელიც ქართულ არქეოლოგიაში უნიკალურ მოხაპვარს წარმოადგენს.

რაში მდგრმარეობს ამ ნივთის უნიკალურობა.

მისი განსაკუთრებულობა, პირველ რიგში, იმაში მდგრმარეობს, რომ იგი ერთდროულად დავთაებაც არის და სასმისიც. ნივთი გამოფენილი იყო 2017 წელს საფრანგეთის ქალაქ ბორდოში გამოფენაზე, რომლის სახელწოდება იყო: „საქართველო - ვაზისა და დვინის სამშობლო“. მოგეხსენებათ რომ 2016 წელს ქალაქ ბორდოში დაარსდა დვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრი და მომდევნო 2017 წლის ზაფხული, პირველი გამოფენა ამ ცენტრმა მიუძღვნა საქართველოს, როგორც დვინისა და ვაზის სამშობლოს. გამოფენაზე წარგზავნილ მრავალ ექსპონატს შორის გამოფენილი იყო ეს ნივთიც, როგორც ერთ-ერთი უნიკალური არტეფაქტი. ნივთი შეისწავლა არქეოლოგმა ბიძინა მურვანიძემ. მან მოგცა ამ ნივთის სრული დახასიათება.

როგორც არქეოლოგი ბ. მურვანიძე აღნიშნავს, ნივთი სითხის ჩასასებელი სარიტუალო ჭურჭელია, რომლის ტევადობა 220 გრამია. „თავისი ფორმითა და შინაარსით მას საქართველოს არქეოლოგიურ მონაცემებით ანალოგი არ მოეპოვება. ცნობილია, რომ სარიტუალო ჭურჭლებს იყენებდნენ ყოფაში, მსხვერპლ შეწირვის თუ მიცვალებულთა სულის მოსახენებელ სხვადასხვა რიტუალში.“(ბ. მურვანიძე, შემთხვევითი აღმოჩნდა გორათში, უკრნალი ინტერიერი, თბ. 6, 2010 წ. გვ. 98.).

გორათში აღმოჩნდილი ქანდაკება-სასმისი ფორმით მკვეთრად განსხვავდება სადღესიო ცნობილი ყველა სარიტუალო სასმისისაგან. განსხვავება გამოიხატება არა მარტო ფორმაში, არამედ შინაარსშიც. თუ სხვა არქეოლოგიურად აღმოჩნდნელ ცალებში სასმისი ან ყანწი-რიტონი ადამიანს უჭირავს ხელში, გორათის შემთხვევაში იგი თავად ადამიანის სტილიზებული ფორმითა წარმოდგენილი სასმისის ფუნქციით, მხოლოდ სითხის ჩასახმელი ადგილი პატარა ჭურჭლის სახით ზურგზე აქვს დაძერწილი.

დაბოლოს, ბ. მურვანიძე აღნიშნავს: „აშგარაა, რომ გორათის ქანდაკება-სასმისი სარიტუალო დანიშნულების ჭურჭელია. არ არის გამორიცხული, რომ გორათის ქანდაკება-სასმისი ნაყოფიერების დამთავრებას წარმოადგენდეს. ქალის თიხის ქანდაკებები ხომ დამახასიათებელი არტეფაქტია ნამოსახლარებისათვის და ნაყოფიერების სიმბოლოდა მიჩნეული“(ბ. მურვანიძე, დასახ ნაშრომი, გვ.99.).

ამ ცნობების მოტანა იმისათვის დაგვჭირდა, რომ გორათის უნიკალური სამაროვანი გადარჩენას საჭიროებს. იგი დიდი ინფორმაციის შემცველია ჩვენი წარსულის შესახებ. აქ მოპოვებული მასალა ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს ჩვენს ისტორიას და ჩვენს მხარესაც სრულიად განსაკუთრებული კულტორის არქეოლოგიაში, ნაშრომის მცველი.

კონცო ქიტაშვილი,
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიის კოლექციის მცველი

(გაგრძელება, დასაწყისი იხ „ნე“ #5, 6, 7, 9, 11, 12, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28)

ფლევი – სოფელი, მდებარეობს შედა ქართლის ვაკეზე, აღის ფრონეს (ჭერათხევის) მარცხნა მხარეს. დიდი და პატარა ფლევის ქვედი სახელწოდება. სასოფლო საქრებულოს ცენტრი (დიდი ფლევი, აპარატი ფლევი, ნაცარგორა, ტერცა). ზ.დ. 800 მ. ხაშურიდან დაშორებულია 21 კილომეტრით, გომიდან (უახლოესი რეინიგზის სადგური) 9 – კილომეტრით. ისტორიულ დოკუმენტში გვხვდება ახალი და ზემო ფლევი.

ერთ-ერთი უძველესი სოფელია. თავდაპირველად ფლევი ამირეჯიბის მამული იყო. ქუცნა ამირეჯიბი იგი ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესის შესწირა: – „აქაურის წისქვილი-სათვის ფლეველთ თოთო კოდი პური, თოთო კოკა დვინო სააღაბოდ“.

მოგვანებით იგი ბაგრატიონ-დაგოთიშვილების მამულია. მათ, 1527–1556 წლებში, იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის ნებართვით და ორანის შპის თამაზისაგან მიღებული იქროვერცხლით, სხვა სოფლებთან ერთად, შეიძენს ფლევი. ბაგრატიონ-დაგოთაშვილები აქ XX საუკუნემდე ხალხობდნენ.

ქართული საისტორიო მწერლობა ფლევს იცნობს. ვახუშტი ბატონიშვილს იგი დატანილი აქვს რუკაზე. ფცის წყლის ხეობის აღწერისას ორანე ბატონიშვილი აფიქსირებს ფლევს, თუმცა, ამ პერიოდში აქ მოსახლეობა არ ჩანს.

რეისის სამწევოს 1715 წლის აღწერის დავთარ-ში ფლევიდან 13 კომლია შეტანილი (რამაზაშვილი (3), პაპაშვილი (4), ოთიაშვილი, ჭავჭავიძე, ბინდიაშვილი, ბუზალაძე, ბადიაშვილი, დაშქარაშვილი).

აქ 1728 წლის, ცხოვრობს 25 კომლი. ერთი კომლი თავადის წოდებისაა. მოსახლეობა იხდის კველი საოსმალო გადასახადს 9740 ახსის ოდენობით.

1865 წლის აღწერით, ზემო ფლევში 21 კომლი გლეხი სახლობს (17 სახელმწიფო, 3 საეკლესიო და 1 დროებით ვალებული), ხოლო ახალ ფლევში – 7 კომლი (6 სახელმწიფო და 1 დროებით ვალებული).

1886 წლის აღწერით, ახალ ფლევში 21 კომლი მოსახლეა, (66 კაცი და 53 ქალი, სულ 119 კაცი), ხოლო ზემო ფლევში 48 – კომლი (206 კაცი და 161 ქალი, სულ 367 კაცი). ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, ორივე ფლევში მოსახლეობა ძირითადად ქართულია. მათ გვერდით გვხვდება ოს ეროვნების წარმომადგნებლებიც, კერძოდ, ახალ ფლევში (7 კომლი, 28 კაცი და 22 ქალი, სულ 50 კაცი).

ფლევში სახლობენ გვარები: გელაშვილი დეკანი დეკანი აპარანაძე აპარანაძე ვალემიშვილი, ნოზაძე, რაზმაძე, საძაგლიშვილი, ტევზაძე, ხარაზიშვილი, (დიდი ფლევი), არსენიძე, ბუზერიკიძე (ბუზერიკიძე), გამებილაძე, გელაშვილი, თაბუშვილი, თედიაშვილი, ივანიშვილი, კილასონია, ლომიძე, ტაბარაძე, ტევზაძე, შებითიძე, ჩეჩილიანი, ციცქაშვილი, ხარაზიშვილი (აპარაზ ფლევი).

სახელმწოდება ნაწარმოებია – ეკ სუფიქსის მეშვეობით, – ი სახლობითი ბრუნვის ნიაშანია, ხოლო ფლევ „ფლ“, ტოპონიმი ფლევი უნდა მომდინარეობდეს ფლვა ლექსემისაგან. ამავე ლექსემისგან უნდა იყოს ნაწარმოები სახელმწოდება ფლავიგოროს რაიონი.

ფლევში მდებარეობს წმ. გოორგის (XIX ს-ის ბოლო), დავისმობლისა (VIII–IX სს.) და წმ. გიორგის (განვითარებული ფერდალური ხანა) კლემისიბი.

ქაშვეთი – ნასოფლარი, მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, სოფლების-თაგვეთისა და კოდიწყაროს შორის. მდებარეობს ცხრამუხის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ცნობილია დამპალას სახელმწოდებითაც.

ვახუშტი და ორანე ბატონიშვილები ამ სოფელს არცერთი სახელმწოდებით არ იცნობენ, არც ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტში გვხვდება.

1925 წლის ქაშვეთში 29 კომლი ცხოვრობდა. აქ სახლობდენ გვარები: გოგალაძე, ციცქაშვილი, გურული, ლომიძე, ხანიძე, ციცქაშვილები.

სოფელი მოიშალა XX ს-ის 50-იანი წლების ბოლოს, როცა მოსახლეობა გადმოისახლეს ხოფელ ცხრამუხისში.

სახელმწოდება ნაწარმოებია – ეკ სუფიქსით. ფუძეა „ქაშვ“, ხოლო – ი სახლობითი ბრუნვის ნიაშანია, – ეკ ხადაურობის სახელთა სუფიქსია.

ქაშვეთის მხაგასი სახელმწოდების სოფელია მესტიის რაიონში (ლენჯერის საქრებული).

ქაშვეთში მდებარობს წმ. გიორგის კლემისია, რომელიც XIX საუკუნის 90-იან წლებშია აშენებული.

ქემფერი – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ზ.დ. 800 მ. ხაშურიდან დაშორებულია 25 კილომეტრით, სურამიდან (უახლოესი რეინიგზის სადგური) – 6,5 კმ-ით შედის ცოცხანის სასოფლო საკრებულოში.

ვახუშტი და ორანე ბატონიშვილები ქემფერი დაფიქსირებული აქვთ როგორც ქემერტი, ვახუშტი და ამავე მოუთოებს ქემერტის წყალზეც, რომელიც ხაშურთან ერთვის სურამის წყალს. ორანე ბატონიშვილის დროს აქ მოსახლეობა არ ჩანს.

რეისის სამწევოს 1715 წლის დავთარში ქემფრიდან შევანიდია 11 კომლი (მიხლანჯი, საბაიკიძე, ჭავჭავიძე, იმედაშვილი (2), ირგმაძე (3), ხარაზი, ტაბარაძე). სხვათა შორის, დავთარში დაფიქსირებულია ქემფერი და არა ქემერტი. ამავე დროს დავთარში აღნიშნულია, რომ აქ „აერიდი ბერია“.

1728 წლის ქემფერში სახლობს 18 კომლი, რომელიც იხდის კველი საოსმალო გადასახადს 9740 ახსის ოდენობით.

1865 წლის აღწერით, ქემფერში 13 კომლი სახლობს (8 სახელმწიფო და 5 დროებით ვალებული). 1886 წლის აღწერით კი, 55 კომლი მოსახლეა (166 კაცი და 127 ქალი, სულ 293 კაცი), რომელიც ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართველები არიან. აქვედან 19 კომლი გაღმოსავლისა დასავლეთ საქართველდან – იმერეთიდან.

ქემფერი სახლობები გავარები: აბულაძე, გელაშვილი, კინიგაძე, ლაბაძე (განშტოებები: მოსახანოთ, გიუანთი), ლომიძე (განშტოებები: ბუზრგალაანთი, გიუანთი, რევაზაანთი, ფრიანთი...), ლომიძე (განშტოებები: კორტიანთი, სოსახაანთი, ჭაბაანაანთი), მუღაძე, ჯავახიშვილი...

სახელმწოდება ნაწარმოებია – ეკ სუფიქსით, – ი სახლობითი ბრუნვის ნიაშანია, ხოლო ფლევა – „ქემფ“.

ქემფერში მდებარეობს წმინდა გიორგის კლემისია, რომელიც აგებულია 1880 წლის.

ქემერტი აღვისი – ის. ამფისი.

ქემერ ბროლოსანი – ის. ბროლოსანი.

ქემერ მიწობი – ის. მიწობი.

ქემერ ოსიაური – ის. ოსიაური.

ქემერ წრომი – ის. წრომი.

ქემერ ჭოშორა – ის. ჭოშორა.

ქემერთი – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, სასოფლო საკრებულოს ცენტრი (ქვაშეთი, ბედლითი, ბუზლეულისცხე, მონასტერი, რუსაანთუბანი, სავანევანი, სათოვე, სარმანიშვილისკარი, ტაბაკარი, ტეხური, ყიფიანუბანი). ზ.დ. 730 მ. ხაშურიდან დაშორებულია 10 კილომეტრით.

ვახუშტი ბატონიშვილი ქვაშეთის შესახებ აღმისავლით, „შორის პირის დასავლით, შოლის კიდეზე, არს ქვაშეთის უახლოესი ქართლ-კახეთის ადგინებული მიხედვით“.

იმანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის ადგინებული მიხედვით“ მიხედვით ქვაშეთი მოსახლე სოფელი.

ქვაშეთი ხშირად მოიხსენიება ქართულ საისტორიო მწერლობაში, ისტორიული თუ ეკონომიკური ხასიათის ღია შემცირებული შეზღუდვის დროის დავთრის მიხედვით, 1595 წელს ქვაშეთში მოსახლეობა არ ჩანს.

იგი ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველად ერთაშორის გვევდება. როდესაც მემატიანე აღწერის XIII საუკუნის 60-იან წლებში მონდოლთა ბატონობასთან დაკავშირებულ მოვლენებს, აღნიშნავს, რომ წარმოგვიდა მეფე და მოვიდა ქვაშეთის ბოლოსა და სურამის შეა დაგება....“

გურჯაისტანის ვილაგითის დიდი დავთრის მიხედვით, 1595 წელს ქვაშეთში მოსახლეობა არ ჩანს.

ქვაშეთი ქართლის სააბაშიოს ცენტრია. კვიქრობათ, რომ აქ აბაშიძები XVI საუკუნის 20-იანი წლებიდან მკიდრდებიანი, მაშინ, როდესაც არადებოთ წყალს აქეთ მდგბარე ტერიტორია (ალი, სურამი, ახალდიდა და სხვა) იმერეთის სამეფოს ხელში გადავიდა. აღნიშული ტერიტორია 1527 წელს დაუკარგა ბატონიშვილი ბაგრატ მე-III ქართლის სამეფო ტახტზე ასვლაში გამარტივდებისათვის.

1711 წელს ქართლის მეფე იესებ უძვოდ გარდაცვლილი პაატა აბაშიძის მამული – ქართლის ს

16-დან 26 ივნისის ჩათვლით, ორგანიზაცია - „ხაშურის რეგიონის განვითარების ასოციაციამ“ (Association for Khashuri Region Development) გა-ნახორციელა პროექტი სახელმძღვანელო მუნიციპალიტეტის განვითარების ასალგაზრდების მშვანე ბანაკი“. 10 დღიანი ბანაკი ახალგაზრდებისთვის წარმოადგენს, შემცნებით-გასართობ ცენტრს და მიზნად ისახავს, მოსწავლებს შორის გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების, ნარჩენების მართვის, ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის, მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცოდნის გადაცემას, თეორიული და პრაქტიკული აქტივობების გზით. აგრეთვე ახალი გამოწვევებისთვის ახალგაზრდების მზადყოფნის ხელშეწყო-



ბას, ინიციატივების წახალისებას, გუნდური მუშაობისა და პროექტების მართვის უნარების გაძლიერებასა და მომავალი ლიდერებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნას. ჩვენ დაბა სურამისკენ გავეშურეთ და სასტუმრო „სურამი“ ვესტურეთ, რომელიც ბანაკის ლოკაციად შეირჩა. ბავშვები მუშა პროცესში დაგვაცვდნენ, სურამის ციხეშე წასასვლელად ემზადებოდნენ. პროექტის შესახებ კი ვრცელი ინფორმაცია ხაშურის რეგიონის განვითარების ასოციაციის დამფუძნებელისა და დირექტო-



რის და პროექტის ხელმძღვანელისგან დიანა გელაშვილისგან მივიღეთ.

- ქალბატონო დიანა, გვიამბეთ, უფრო ვრცლად აღნიშნული პროექტის შესახებ?

- პროექტი გულისხმობს გარემოსდაცვით განათლებას. ჩვენი ერთ-ერთი მიზანია ხაშურის ტურისტული პოტენციალის წინ წამოწვევა და გაცნობა. ვცდილობთ, ეს ინფორმაცია მაქსიმალურად გავუზიაროთ ჩვენ მოსწავლეებს. ბანაკის ოქმატურ სესიებს უმდვებიან დარგის სპეციალისტები, რომლებსაც ვიწვევთ როგორც საქართველოში მოქმედი პროფილური ორგანიზაციებიდან ისე ევროპიდან. ამასთან, ვასწავლით ბლოგებზე სტატიების განთავსებას. დღეს, ჩვენი მეგობარი, ტრენერი გიორგი ჩუბინიძე მოვიწვევთ ამ თემასთან დაკავშირებით, რომელიც ტრენინგს ჩაატარებს მათთვის. ასევე, მხარეთმცოდნების მუხუჭის თანამშრომელი, ექსპონატების მცველი, მზია ლობებანიძე ჩაგვერთება საინტერესო სემინარით. თეორიული მასალის გაცნობასთან ერთად, პარალელურად გვექნება გასვლითი ტურები ხაშურის მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

- რომელ ლოგაციებზე გაქვთ დაგეგმილი გასვლითი ტურები?

- მოვინახულებთ სურამის ციხეს და გასუფთავებთ აღნიშნულ ტერიტორიას, აგრეთვე, მოვინახულებთ იტრიის და კვირაცხოვლის ტაძრებს. წავალთ ხცისში და წრომში. აღნიშნულ ლოგაციებზე ბავშვები თავადვე გააკეთებენ პრეზენტაციებს. უნდა აღვნიშნო, რომ ისინი გაოცებული არიან იმ ფაქტით, თუ რამდენი ტურისტული ლოგაციაა ჩვენს მუნიციპალიტეტში.

- რამდენი ბავშვია ბანაკში და რა ასაკობრივ ჯუფებზეა გათვლილი ბანაკი?

- „მწვანე ბანაკში“ მონაწილეობს ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 13 დან 17 წლამდე ასაკის 40-მდე მოზარდი და ბანაკში მოწვევი ახალგაზრდა ლიდერები.

- რით არის მნიშვნელოვანი ეს პროექტი ბავშვებისთვის?

- ბანაკი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისთვის. ჩვენ გავივლით უამრავ თემას, რომელიც შეეხება მსოფლიოს



კლიმატურ ცვლილებებს, ჰაერის დაბინძურებას, გარემოსდაცვით საშუალებებს და ყოველივე ამის გათვალისწინებით მიმღვინეულავთ ჩვენს ქვეყანაში შექმნილ ვითარებასაც, ამ კუთხით. აქვე დავამატებ, როდესაც ისინი ზღვა გამოციდებებს დააგროვებენ და სექტემბერში დაბრუნდებიან სკოლებში, მათ უნდა შეძლონ აქ მიღებული ცოდნის თანატოლებისათვის გაზიარება. ეს ბავშვები გახდებიან სპიკერები გარემოსდაცვით საკითხებზე.

- როგორც ვიცით, აპირებთ მასშტაბური გამწვანების აქციის ჩატარებას ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე..

- დიახ, ასეა. დასკვნითი ეტაპზე, ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე, რომელიც შემოიღობა და განისაზღვრა, როგორც რეკრეაციული ზონა, გვექნება მასშტაბური გამწვანების აქცია, დავრგავთ ათასობით ხის ნერგს. როგორც იცით, პროექტს დიტვის საელჩო აფინანსებს და ნერგებითაც უზრუნველგყვოფს. პროექტის პარტნიორია: საქართველოს მწვანეთა მოძრაობა(The Greens Movement of Georgia)

- პროექტისთვის შერჩეული ბავშვები მხოლოდ ხაშურის მუნიციპალიტეტიდან არიან? რის მიხედვით შერჩენ ისინი?

- ყველა ბავშვი ჩვენი მუნიციპალიტეტიდან არის, მათ შორის, ხოველებიდანაც. ბავშვებისგან მივიღეთ განაცხადები და სამოტივაციო წერილები და სწორედ ამ წერილების საფუძველზე შევარჩიეთ ისინი, ჩვენ გვსურდა გარემოსდაცვით საკითხები ყოფილიყო საინტერესო და სენსიტიური. ცხადია, ჩვენთან გასართობი აქტივობების ნაწილიც არის, მაგრამ გართობასთან ერთად ბანაკში ნაყოფიერი მუშა პროცესიც უნდა ყოფილიყო. უნდა აღინიშნოს, რომ ბანაკში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა საკმაოდ მაღალი იყო. სულ 80 განაცხადი მივიღეთ.

თინა ახალკაცი

D

განცხადება!

საქართველოში მოქმედი სარესტორო ქსელური კომპანია „VD-Capital“-ი, რომლის შემადგენლობაშიც შედის: „თაღლაურა“ და „სამიკიტო-მაჭარელა“ რესტორნები, სამუშაოდ და სასწავლებლად იწვევს მსურველებს შემდეგ პოზიციებზე: მზარეული, მცხობელი, მიმტანი!

დეტალური ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით
ნომერზე: 577 627 - 627.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,

მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

მ-ით მონიშნული სტატია იბჟვდება დაკვეთით

გაზეთი იბჟვდება თბილისში.

რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.